

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ზეობით - პიროვნული თავისუფლებისათვის
პიროვნული თავისუფლების ზეობით - ეროვნული თავისუფლებისათვის

ეროვნული
ზიზღიერება


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს

№7 (1637)

28-30 იანვარი 1998 წ.

ფასი 50 თეთრი

ჩივი ლავრენტი ბერიძე




**ლავ - ასე ეძახდნენ მას
სიყვარულით მეგობრები**

მეორე გვერდი

**მედლის ორი მხარე
— ანუ კიდევ ერთხელ
საბჭოების პიროვნების შესახებ
მეორე გვერდი**

ნოდარ ნათაძე:

**შეპარდნაძე
ყველაზე უმჯობესი
მმართველია
მსოფლიოში...**



მესამე გვერდი

**ისევ საიათნობას გარდაცვალების
თარიღისა და არარსებული
საფლავის შესახებ**



მეექვსე გვერდი

გამოავლინეს უშვის ქურდები...

ოჯახის დიდი ტრაგედია

*მ. კიტოვანი თვლის, რომ გულის სასწრაფო
ოპერაციას საჭიროებს. თუ კიტოვანი ასე
თვლის...*

*საქართველოს დელეგაცია მონაწილეობას
მიიღებს «დავლის მსოფლიო აკონსოლიდაციის
ფორუმის» მუშაობაში*

*28-29 იანვარს გაიმართება საქართველო-
რუსეთის საზღვრის სადელიმიტაციო
კომისიის პრეზიდიუმი სსრ-ში*

*მარტივად მან-გინეპოლოგთა ატმოსფერო
დაიწყება*

მეორე გვერდი

25 იანვარს მოსკოვში გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის
დიდი მოამაგე

ნოდარ ახალკასი

მისმა საქმეებმა შორს გაუთქვა სახელი საქართველოს, გან-
სხეევებით იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ბევრს ღაპარა-
კობენ და ცოტას აკეთებენ.

„საქართველო“-ს რედაქცია სამძიმარს უცხადებს განსვენებ-
ულის ოჯახს, მის ახლობლებს.

მარტოობა

კარდუ

ანუ ბრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე

მისტერიის სახელწოდება გერმანული სიტყვაა - „მალშტრომ“ (der Mahlstrom/der Malstrom), რაც ძლიერ ნიაღვარს ნიშნავს. მისი მორევი ითრევეს ადამიანს. თუ ჩავიხსენებთ, თავის დაღწევა შეუძლებელია.


მისტერიის დაწერის აზრი ტაციტუსის ნაამბობ რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალს შთაუგონებია. განმეორებულია ეს ძველთა ძველი ამბავი „მალშტრემში“.

მორელა და უცნობი გარბიან. მისდევენ. თუ მდევრები დაეწევიან, სიკვდილი არ ასცდებათ. მორელა და უცნობი თავს წისქვილში შეაფარებენ. დიდხანს დაყოვნება არ შეიძლება. სადაც არის, მდევრებიც დაეწევიან. მაგრამ მორელას უჭირს. ფეხმძიმედ არის. გზას ვეღარ გააგრძელებს. ეშუადარება უცნობს - მომკალიო. უცნობი თავზარდაცემულია. არ ძალუძს ქალის მოკვლა. მორელას მდევართა ხელში ჩავარდნას სიკვდილი ურჩევნია. უცნობს სხვა გზა აღარ დარჩენია. იგი ხანჯალს ჩასცემს მორელას. ქალს მდინარეში გადააგდებს. თავად კი გარბის.

მეწიქვილის შეიღიშვილი მდინარეში გადაეშევა. მორელას ამოიყვანს. იგი ცოცხალია. ამასობაში მდევარნიც მოუღვენ. მორელა მიჰყავთ.

მკითხველი ხედავს, რომ სიტყვა-სიტყვით განმეორებულია რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალი.

რას გაექცნენ უცნობი და მორელა? ტექნიკურ ცივილიზაციას, ქალაქს, ფულს, სიმდიდრით გახრწნილ საზოგადოებას. ამ საზოგადოებას განასახიერებენ როკფელერი, ფინკელშტეინი, პენუტი, გელფრისი, ახეფული. დააკვირდით: ამ გვარებში ყველაა - გერმანელიც, ფრანგიც, ებრაელიც, ამერიკელიც. წარმოდგენილია ფუდიანთა, მდიდართა ინტერნაციონალიზმი. ახეფული კი გვახსენებს ცნობილ პროვოკატორს, ესერუდელ პარტიის წევრს ევრო ახეფს. ცრუ რევოლუცია და კაპიტალი ერთად არიან. მათი წინააღმდეგობა მოჩვენებითია. მდიდართა ინტერნაციონალიზმს ნამდვილად, რეალურად ებრძვიან უბრალო ადამიანები - უცნობი, მორელა-



და, ბოშები, კეთროვანები - ისინი, ვინც ცხოვრების ტალღამ გარყვია.

ამ დაპირისპირებაში რა როლს ასრულებს რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალი? გრიგოლ რობაქიძე, როგორც თავად ამბობს, ზენობიაში ხედავდა ნამდვილ „მიწას“ ატეხილი მკერდებით და თავისგამეტების ნებას. რადამისტში კი - ნამდვილ ზეკაცურ არსს, რომელიც ცოცხლობს ბედის სიყვარულით. სხვადასხვაგვარად შეიძლება ამ ამბის განვითარება და გაშლა. გრიგოლ რობაქიძეს თავისი კუთხე მოუძებნია.

„აქ ისეთი სინოყვირია „მიწის“, რომ იგი უთუოდ უნდა შეჭრილიყო უმიწო ქალაქში. აქ ისეთი გადაახვია „ფატუმის“, რომ იგი უთუოდ უნდა შევარდნილიყო უბედო კულტურაში. „მიწა“ აქ არ არის „სოფელი“ და ბუკოლიკა. „მიწა“ აქ სულია სამყაროს: ინსტინქტი, განუკვეთელობა, რასსიული ხსოვნა, ცოცხალი ანამნეზის. „ფატუმი“ არ არის აქ უბრალო წერა. იგი შინაგანი აუცილებლობაა ყოფის“ („მალშტრემის“ განმარტებისათვის“).

როკფელერების, ფინკელშტეინების, პენუტიების, გელფრისების, ახეფულების სამყაროში მორელას („მიწის“ სურნელების) და უცნობის (ბედის სიმტკიცის) შემოვარდნა არყვეს, აზრვეს ყველაფერს, ეფემერულს ხდის. ასეც უწოდებს მისტერიის პირველ ნაწილს გრიგოლ რობაქიძე - ეფემერა.

რამდენადაც პირველი ნაწილი მისტერიისა ეფემერაა, იმდენად მეორე ნაწილი „სისხლია და ძვალი. სხ-

ეულება მიწის იშლება მის პირვანდელ ქალწულობაში. მეწიქვილე, ქალი, ვაჟი, მეტევეზენი - ხაზებია ამ სიქალწულისა. თქმულება აღზე, თქმულება მუხაზე, თქმულება მთვარეზე - შტოებია მითოსისა“.

მე-20 საუკუნის დიდი კონფლიქტი შრომასა და კაპიტალს შორის, ტექნიკურ ცივილიზაციასა და ბუნების თავურსიწმინდეს შორის, გრიგოლ რობაქიძეს გადაჰყავს მითურ სამყაროში.

ეს დაპირისპირება, წინააღმდეგობა, ბრძოლა ტრაგიკულ ელფერს ატარებს, მაგრამ ნამდვილად კი აბსურდად იქცევა. „უბიწო და უბედო კულტურაში ყველაფერი თავდება აბსურდით. ამ აბსურდის მასახიერებელი დღევანდელ ევროპაში არიან დადაისტები. „რაციოს“ ყოველი ხვეული აქ იღებს აბსურდულ მიმართებას. ქვეყანას აბითურებენ, მაგრამ თვითონვე ბითურებიან. ირონია ყველგან, მაგრამ ირონია მობრუნებით ურტყამს ყველას“.

„მალშტრემის“ უფრო ზუსტი განმარტება შეუძლებელია. თავად ავტორმა ხელისგულზე დაგვიდო მისტერიის აზრობრივი შინაარსი.

ბუნების თავურსიწმინდესა და ტექნიკურ ცივილიზაციას შორის კონფლიქტი აბსურდულია. შეუძლებელია ბუნების თავურსიწმინდის დაბრუნება, ხოლო სად მიგვიყვანს ტექნიკური ცივილიზაცია, არავენ უწყის. ბორბალში დამწყვდეულ ციყვივით ტრიალებს კაცობრიობა.

აბსურდულია შრომისა და კაპიტალის კონფლიქტი და ბრძოლა. შრომა თითქოს

ებრძვის ფულსა და სიმდიდრეს, ზნეობრივ გახრწნას. მაგრამ ამავე დროს იმავე ფულს და სიმდიდრეს ებლაუჭება. შრომა ვერ იქნება თვითმიზანი. მაშინ აბსურდის ხასიათს შეიძენს (შრომა შრომისათვის?). შრომას მიზანი სჭირდება. ეს მიზანი კი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ისევე ფული და სიმდიდრე. აბსურდია: შრომა ებრძვის ფულსა და სიმდიდრეს იმისათვის, რომ ისევე ფული და სიმდიდრე დააგროვოს. ამ დაგროვებას ზნეობრივი გახრწნაც თან ახლავს. ისევე ბორბალში დამწყვდეული ციყვივით ტრიალებს კაცობრიობა.

ამ აბსურდულ კრიზისულ ვითარებაში რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალი იწვევს ალტაცებას მისი ქალწულობით, მისი ვაჟურობით, ადამიანური ნების სიმტკიცით და, თუ გნებავთ, დაუნდობლობითაც. მას იმეორებს უცნობი და მორელა. ამ განმეორებაში იმედია. იმედია მარადიული დაბრუნების, თუგინდ იგი მითურ სამყაროში არსებობდეს და არა რეალურში.

„მალშტრემით“ „ლამარას“ განმარტებაც მოუწია გრიგოლ რობაქიძეს, თუმცა სხვა მიზნით. მაშინ, როცა გრიგოლ რობაქიძის სახელს ტაბუ ედო, „ლონდასა“ და „მალშტრემისაგან“ განსხვავებით, „ლამარას“ ხშირად ახსენებდნენ. იძულებული იყვნენ და იმიტომ. შეუძლებელი იყო რუსთაველის თეატრის შემოქმედებაზე ლაპარაკი „ლამარას“ მოუხსენიებლად. „ლამარას“ კი ახსენებდნენ, მაგრამ მის ავტორზე დუმდნენ. ვერავინ ბედავდა ვაშინერისის დარღვევას. ამ ვითარებით გამოწვეულ უხერხულობას ყველა გრძნობდა. მერე უფრო უარეს დღეში ჩაიგდეს თავი. „ლამარა“ ვაჟა-ფშაველას მიაწერეს. ერთი ამბობდნენ - ვაჟას მოტივების მიხედვით, მეორე - პირდაპირ ვაჟას ასახელებდნენ ავტორად.

ვინც ამას აკეთებდა, ყველამ ჩინებულად იცოდა, ვინც იყო ავტორი. მაგრამ მაინც ცრუობდნენ. თავს კი იმით იმართლებდნენ, რომ გრიგოლ რობაქიძის ხსენების უფლებას არავენ მოგვეცემსო. ვერც „ლამარაზე“ ვილაპარაკებთ. ტყუილით კი „ლამარაზე“ საუბარს მაინც ვახერხებთო. ამრიგად, ნებით თუ უნებლიეთ, „ლამარა“ წაერთვა გრიგოლ რობაქიძეს და ვაჟა-ფშაველას გადაეცა. ქართული მწერლობისა და თეატრის ისტორიაში უფრო კუროზული შემთხვევა არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურ-კომუნისტური პერიოდის მწერლობისა და თეატრის ცხოვრება სავესა სატირალ-სასაცილო შემთხვევებით.

ბუნებრივია, ამ ამბავმა გრიგოლ რობაქიძის ყურამდეც მიაღწია. მას გულიც

ეტკინა და გაბრაზდა კიტეც. 1962 წლის აპრილში მან ბართით მიმართა ირაკლი აბაშიძეს, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს. ამ წერილით პროტესტი გამოთქვა. დამოზოგიერთთა ყოველად უღირსი საქციელი. საკუთარი მწერლური ღირსება დაიცვა.

როგორც ავტორს, „ლამარა“ განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა. შეიძლება ეს გრძნობა იმანაც აღუძრა, რომ მისი წართმევა მოინდომეს. ასეა თუ ისე, ფაქტია ის, რომ „ლამარას“ გამო ამ მისტერიის მოკლე ბიოგრაფიაც დაწერა და „ვაჟას ენგაღშიც“ დიდი ადგილი დაუთმო. ამ ნარკვევებიდან სამ ძირითად დასკვნას გამოვიყოფ.

პირველი: „ლამარა“ დაიწერა, როგორც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების პასუხი.

წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვეშეცნულ მოეინდომე: „ლამარა“ უმაღლეს მიმეხალა მტარვალთა მიმართ ვითარ ტრაგიული მარჯი დამარცხებულთა“ („ლამარა“. მოკლე ბიოგრაფია).

გრიგოლ რობაქიძე „მარჯს“ ხშირად ხმარობს, ეს სიტყვა მან თავად გამოყო „გამარჯვებიდან“. ამოღებულია ამ სიტყვის შუაგული - „მარჯ“ ისევე, როგორც დამარცხებიდან ნაწარმოებია „მარცხი“. მარჯს გრიგოლ რობაქიძე იყენებდა გერმანული Heil-ის შესატყვისადაც.

ავტორის სიტყვით, რეჟისორის სანდრო ახმეტელი „ლამარას“ განსაზღვრავდა, როგორც რაინდულ რომანტიზმს. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც იყო რაინდული რომანტიზმის გამოვლენა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამბობების რომელიმე მონაწილეს მართლა სჯეროდა გამარჯვებისა. მეტისმეტი მიაბიტობა იქნებოდა ეს. ძალთა შეფარდება უსაზღვროდ უთანასწორო იყო. მონაწილეობდნენ იმდენად, რამდენადაც ამას რაინდული ბუნება ითხოვდა.

მეორე: მართალია, ამბობთ, მოქმედებით, პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებით, ხასიათებით, კონფლიქტით, ჟანრით „გველის მჭამელსა“ და „ლამარას“ არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ „თაური ორივესი ერთია“, როგორც თვითონ გრიგოლ რობაქიძე ამბობდა. „მინდია: არსი, რომელშიც მთლიან სახიერდება ორმაგი უნივერსალური იდეა. სიყვარული შეიქმნს შემეცნებას (მოციქული პაულე), შემეცნება შეიქმნს სიყვარულს (დონარდო და ვინჩი)“. ეს აზრი „გველის მჭამელთან“ დაკავშირებით ჯერ კიდევ მაშინ გამოითქვა, როცა 1911 წლის აგვისტოში - „Русская мысль“-ში, სტატია დაიბეჭდა - „უახლესი ქართული პოეზიიდან“.

კარდუ ანუ ბრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

მეუღლე გვერდიდან
პოეტი ვაჟა-ფშაველა.
ვაჟა-ფშაველამ „შემოქმედებითი სინთეზით გააერთიანა ორი, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი: შეცნობა ჰბადებს სიყვარულს (დაინჩი) და სიყვარული ჰბადებს შეცნობას (საველე მოციქული), ან უფრო სწორად, ინტუიციურად აღმოაჩინა, რომ შეცნობა და სიყვარული არსებითად ერთი და იგივეა, რომ შეცნობა ერთგვარი სიყვარულია, ხოლო სიყვარული - ერთგვარი შეცნობა“ (თარგმანი დინარა კასრაძისა).
ეს აზრი მესამედაც გაიმეორა, როცა „ღამარას“ მოკლე ბიოგრაფია დაწერა. ჩანს, პველე მოციქულისა და ლეონარდო და ვინჩის დებულებებს მისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. საერთოდ, ვაჟას წყალობით, მინდიას თქმულებამ დიდად მი-

ბობდი. „მინდია თავს იკლავს“, მეუბნებოდა ხალხი. გაუბედვ ბოლოს და - პირველად ჩემს სიცოცხლეში - შევასწორე ხალხის ნააზრევი. დიდ ხანს მაწვა ეს გულს სიმძიმედ, დიდ ხანს, დიდ ხანს.
რაოდენიმე თვის წინ წავიკითხე (პირველად) ვაჟას კრიტიკული წერილები. მათ შორის „კრიტიკა ბ. ი. ვართაგაევასი“. ამ წერილში ვაჟა გვითხრობს, სხვათა შორის: თუ რაა ხალხური თქმულებითგან „გველის მჭამელში“ და რა მისი საკუთარი. რა აღმოჩნდა? თურმე მინდია თავს იკლავს არა ხალხური თქმულებით, არამედ ვაჟას პიროვნული მითხებით. მომეშვა წამსვე სიმძიმე, დაინახე რა, რომ ხალხის „გნება“ არ შემოიღობა (ვაჟას ენგადი).
ეტყობა, ყოველთვის აინტერესებდათ რა მიმართებაა ხალხურ თქმულებას, „გველის მჭამელს“ და „ღამარას“ შორის. 1930 წლის 7 ივლისს გრიგოლ რობაქიძე წერდა შალვა სოსლანს:
„საჭიროა იცოდენ მოსკოვშიაც: „ღამარა“ არ არის „დრამატული განსცენიურე-

ბა ხალხური თქმულებისა“. უკანასკნელიდან (რომელიც ვაჟას „გველის მჭამელს“ დაედო ფუძედ) „ღამარაში“ დარჩა მხოლოდ მინდიას „მისნობა“ - და ისიც გადაკეთებული: „გველის მჭამელში“ მინდია იქნეს მისნობას გველის შეჭმით, „ღამარაში“ კი გველი ყურში ჩაუთქვამს მინდიას უცხოურ გზნებას. აგრეთვე: „გველის მჭამელში“ მინდია ჰკარგავს ცოდნას სიყვარულის შემოზღუდვის შემდგომ ცოდნის გარეშე. „ღამარაში“ მინდია ჰკარგავს (არა მთლად) ამავე ცოდნას სიყვარულში გახედვით. კიდევ: მინდია თავს იკლავს „გველის მჭამელში“, „ღამარაში“ კი მინდიას თავის-თავი მსხვერპლად მიაქვს და მით იბრუნებს ნახევრად დაკარგულ მისნობას. ვიმეორებ: მისნობა დარჩა მხოლოდ „ღამარაში“. დანარჩენი კი სრულებით არ მოიპოვება ხალხურ თქმულებაში. ამას სინამდვილის აღდგენისათვის აღვნიშნავ, თორემ „ისე“ ჩემთვის საამყოცაა, თუ ინდივიდუალქმნილს ხალხის ეპოსად ჰსახავენ (მაშასადამე ჩემს სიტყვას მიუღწევია

„დიდი სტილითადაა“ შეცნობა ვიწრო-პიროვნულ (დაარს. კი სჩანს)... მეორე შენიშვნა: დადგმაში გამოტოვებულია (არ ვიცი რად) თითქმის მთელი აქტი, საცა ვითარებულია ხასიათები: ღამარასი, თორღვასი, მინდიასი, რაიბულისა. პირადათ ჩემთვის ეს გამონატოვი ყველაზე უფრო გულისხმიერია „ღამარაში“...
შემდგომაც ამისი გამეორება უფრო ვრცელად არაერთგზის მოუწევს - „ვაჟას ენგადში“, „ღამარას“ მოკლე ბიოგრაფიაში, „ირაკლი აბაშიძისადმი წერილში“.
ვითარება დღეს გარკვეულია. ვაშინერსიც მოხსნილია. ამის თქმაც თამამად და თავისუფლად შეიძლება: გრიგოლ რობაქიძე, რეჟისორების კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის გვერდით, „ღურგუის“ პლუადის მსახიობების გვერდით, ქართული თეატრის განმახლებელია. ის დიდი გარდატეხა, რაც 20-იანი წლების ქართულ თეატრში მოხდა, ისევე უკავშირდება გრიგოლ რობაქიძის სახელს, როგორც კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სახელს.

ვაჟა-ფშაველა, მინდია, ნომინალი


ბაზ. „სამართლებლო“ 17-20 მარტის (1997წ.) ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი სათაურით: „აქა ამბავი იმისა, თუ როგორ შეაკლა 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანს თავი საიათნოვამ, რომელიც 1801 წელს ბუნებრივი სიკვდილით მიცვალებულა?“ ამავ უბნისკაცისა ეხმაურებოდა „ასაველ-დასაველში“ (25-31 მარტი, 1997 წ.) მათა კახაძის მიერ ჩემგან აღებული ინტერვიუ „ვინ შექმნა საიათნოვას გარდაცვალების ყალბი ვერსია, ანუ როდემდე უნდა გაგრძელდეს „გიჟურაცხუების“ მორჩილება?“
ამ წერილებს ჯერ კიდევ შარშან, 17 ივნისს, გამოხმაურება პროფ. პარუიერი მურადიანი ერევანში გამომაგდა ვაზ. „გოლოს არმენიში“. გამოხმაურებამ ჩემამდე მხოლოდ რამდენიმე დღის წინ მოაღწია. სამწუხაროდ, ფაქსი, რომლითაც ქსეროასლი მივიღე, იმდენად უხარისხოა, რომ დარწმუნებული არა ვარ, ყველა სიტყვა სწორად ამოვიკითხე, მაგრამ კრიტიკული წერილის საერთო აზრი გასაგებია და პასუხის გაცემა, თუნდაც დაგვიანებული, აუცილებლად მიმაჩნია.
გამოხმაურების აგტორი უპირველესად ქართული პუბლიკაციების სათაურების წინააღმდეგ ამხედრებულა: „თავს შევიკავებ ამ საბრალდებულ-სალანძღავი სტილის სათაურების კომენტარებისგან. ვეცდები ჩავწვდე ნათქვამის აზრს, გამოვამხეურო ის სიახლე, რაც მეორე გაზეთის რედაქციის (იგულისხმებდა „ასაველ-დასაველი“ - ა.ფ.) კვალდითკაციით „სენსაციური ინფორმაცია“?
ერთი შეხედვით, ბატ. მურადიანის საყვედური უსაფუძვლო არაა. ასეთი სათაურები, თუმცა მათში „საბრალდებოსალანძღავი“ არაფერი იყო, მეცნიერული წერილების სტილს მართლაც არ შეეფერება, მაგრამ სწორედ აქედან იწყება მისი არაობიექტურობა და მიკერძოება. საკმარისი იყო, მას ცოტად მეტი ყურადღებით წაეკითხა „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილის სათაური ან წაკითხული და სწორად გაგებული (ქართული მშვენიერად იცის) საგანგებოდ არ დაემახინჯებინა, აშკარად დაინახავდა, რომ ეს სათაური მე არ მეკუთვნის. იგი, როგორც ეს თანამედროვე პრესისათვის საერთოდაა დამახასიათებელი, მკითხველთა დანიტერესების მიზნით, რედაქციაშია შეთხზული და წარმოადგენს მოკლე ანოტაციას მთელი წერილისას. აგრე რომ არა, განა მოსალოდნელი იყო ასეთი ვრცელი სათაური მიმეცა მეცნიერული წერილისთვის,

ისევ საიათნოვას გარდაცვალების თარიღისა და არარსებულისა ფაქტების შესახებ (ვახუხი პროფ. პარუიერი მურადიანს)

ალექსანდრე ფოცხიშვილი
თანაც სათაურის ბოლოს ზმნა-შემასმენელი თურმეობითის ფორმით მეხმარა - „მიცვალებულა“?
ჩემს წერილში, ახვერდოვის ლეგენდის საწინააღმდეგოდ, სწორედ ის ფაქტია ხაზგასმული, რომ პიოსელიანისა და მეცნიერი-ბატონიშვილების ცნობით, საიათნოვა 1801 წელს გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. ამის შემდეგ სათაურში როგორღა შემდეგ მოთქვა - „მიცვალებულა“. ასეთი (თურმეობითის) ფორმა ხომ იმაზე მიუთითებს, თითქოს მე დარწმუნებული არ ვარ ნათქვამის ჭეშმარიტებაში?
მურადიანს ჩემი წერილის სათაური არ მოსწონს, თავისას კი ასე ასათაურებს „კომუ მეშვეტ საიათნოვა?“ (ვის უშლის საიათნოვა?), რითაც მკითხველს თავიდანვე აფრთხილებს, რომ ვიღაცეები სმ ვიღაცეებში, რა თქმა უნდა, უპირველესად მე ვიგულისხმებო საიათნოვას ებრძვიან.
თუმცა კარგად იცის, რომ ჩემს წერილში საიათნოვას წინააღმდეგ გადაკეროთაც არაფერია ნათქვამი. უფრო მეტიც, ორივე წერილში საგანგებოდაა მითითება იმაზე, თუ რა მიზანს ემსახურება პუბლიკაციები: „წერილის (იგულისხმებდა „საქართველოში“ გამოქვეყნული) მიზანი იყო, ერთხელ და სამუდამოდ დასმობდა უკრტილი სიყალბეზე დამყარებულ „მეგობრობის ზეიმს“, რომელიც ყოველ წელს თბილისში, თუ არ ვცდები, 14 მაისს იმართება „საიათნოვას საფლავთან“. მიტინგზე სომხეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად მგზნებარე სიტყვით გამოდიან საქართველოს მწერალთა კავშირის, მეცნიერებათა აკადემიისა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც. სწორედ ამაზე იტყვიან, კაცს დედა დავიწყებოდა და დედაინაცვალს ფიცხულობდაო. არაფერი მაქვს საწინააღმდეგოდ, საიათნოვას ბიოგრაფი-

მცხოვრებ (!) აშუღთა შორის საიათნოვა ყველაზე დიდი და გამოჩენილი პოეტია“. ერთი სიტყვით, ჩემი წერილები მიმართულია ლიტერატურათმცოდნეთა იმ ჯგუფის წინააღმდეგ, ვინც ჩვეულებრივი აშუღსაზანდრის სიმღერებიდან „მსოფლიო პოეტური გენისი შემოქმედება“ შექმნა, ეროს მხრით, და, მეორე მხრით, იმათ წინააღმდეგ, ვინც საიათნოვას გარდაცვალების ყალბი ვერსია მოიგონა და ამ სიყალბეზე ახალი სიყალბე - „მეგობრობის ზეიმის“ დღესასწაული - დააფუძნა. მაშასადამე, მე ვებრძვი არა საიათნოვას, არამედ იმათ, ვინც საზანდრის პიროვნება ცრუ შარავანდელით შემოსა და მის არარსებულ საფლავთან „ცრუზეიმს“ დაუდო სათავე.
ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში გართულმა მურადიანმა კიდევ ერთ სიყალბეს ახადა ფარდა: თურმე „საიათნოვას საფლავთან“ შეკრებილი სომხობა „ვარდობის“ დღესასწაულს აღნიშნავდა სამიტომაც დღესასწაული ვარდობის თვეში - მაისში - იმართებოდა. საიათნოვა კი, როგორც ჩანს, არაფერ შუაში იყო.
მეც მანდა ვარ, ბატ. პარუიერი! როგორც ვწერ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგოდ, საიათნოვას ბიოგრაფიის რომელიმე დაბრმავებული თარიღი საგანგებოდ აღინიშნოს, მით უფრო, რა მექნება საწინააღმდეგოდ, თბილისის სომხურმა მოსახლეობამ თავისი რელიგიური დღესასწაული „ვარდობა“ იხეიმიოს, მაგრამ თავი დაავანებოთ საიათნოვას, ნუ გამახინჯებთ მის ბიოგრაფიას, ნამდვილსაც და მოგონილსაც, ნუ ექმნით აშუღისაზანდრის სიმღერებისგან „კლასიკური პოეზიის განუმეორებელ შედეგებს“.
ყოველივე ამას ჩვენ ჩავდივართ; საიათნოვას ასეთი „დაფასების“ არავითარი პრეტენზია არა ჰქონია! აი, რის წინააღმდეგ ვებრძვი მე და ცამდე მართალი ვარ.
წიგნშიაც ვწერ და ახლაც ვიმეორებ: საიათნოვას ქართველ პოეტად მონათლვა და მისი ქართული ლიტერატურის ისტორიაში შეტანა შეცდომაა. საიათნოვა თბილისელ არაქართველთა ქართულენოვანი ფოლკლორის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია და ჩვენ, ქართველები, მას დამახასიათებელი უნდა მივჩნეოთ, თუ მეტს არა, ნაკლებს პატივს არ მივავნებთ, მაგრამ საფლავში ჩაყლას ნუ მოგვთხოვენ, მით უფრო, რომ არც ვიცი, სად ასაფლავია.

ვახუხი პროფ. პარუიერი



ნარკოტიკების გავრცელების მიზეზი - უცოდინრობა

ბერმანელ ფსიქოლოგთა ჯგუფის დასკვნით, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გავრცელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ახალგაზრდები ვერ აფასებენ იმ ზიანს, რომელსაც ნარკოტიკები მათ ჯანმრთელობას აყენებენ. მეცნიერების აზრით, ახალგაზრდები, რომლებიც ნარკოტიკებს ხმარობენ, ფიქრობენ ყველაფერზე, საკუთარი ჯანმრთელობის გარდა.

უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებს ადევნებთ ის ემოციები, რომლებიც ამ ნივთიერებების მოხმარებას, უფროსების გაკიცხვას, პოლიციასთან კონფლიქტს და ფულის პრობლემებს მოჰყვება. ხოლო ის დამღუპველი შედეგები, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერებების პირველივე მოხმარებას მოჰყვება, ახალგაზრდობისათვის თითქმის უცნობია. (გეა)

ეპიდემია, რომლის წინააღმდეგ ვაქცინა არ არსებობს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ეპიდემიოლოგები სერიოზულად არიან შეშფოთებული კენიაში ციებ-ცხელების ეპიდემიის მასშტაბებით. უკანასკნელი მონაცემებით ამ დაავადებას 400-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.


დაავადების ბუნების დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ცნობილია მხოლოდ, რომ დაავადება გადადის ავადმყოფებთან ურთიერთობით, წყლისა და საკვები პროდუქტების საშუალებით. დაავადება გადააქვთ აგრეთვე სისხლისმსმელ მწერებსაც, რომლებიც ამ რეგიონში მრავლად არიან. ციებ-ცხელების ჩვეულებრივი სიმპტომების გარდა ავადმყოფები განიცდიან ძლიერ ტკივილს გარეგანი სისხლდენის გამო. მეცნიერებმა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ჯერჯერობით ვაქცინა ვერ გამოიგონეს. ისინი ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ეპიდემია დიდ მასშტაბებს მიიღებს. (გეა)

ქლინთონის თავბადასავლები და ანტისეპტიზმის ახალი ტალღა

ისრაელში შიშობენ, რომ ქლინთონის სექსუალური თავგადასავლებით გამოწვეული სკანდალი, თავის მხრივ, მსოფლიოში ანტისეპტიზმის ახალ ტალღას გამოიწვევს, რადგან სკანდალში ჩარეული მონიკა ლევისკი ეროვნებით ებრაელია.

უკვე ამჟამად, როცა ამ სკანდალთან დაკავშირებული ისტორიის დასასრულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, გაეროცვლდა ხმები, რომ ეს აურზაური ებრაელების ატეხილია. გლობალური კომპიუტერული ქსელის - „ინტერნეტის“ ზოგ სერვერზე გაჩნდა სტატიები განცხადებებით იმის შესახებ, რომ სკანდალი და მასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ებრაელების შეთქმულება აშშ-ის წინააღმდეგ. ზოგიერთი დამკვირვებელი თვლის, რომ თუ სკანდალის შედეგად ქლინთონს გადადგომა მოუწევს, ამას ამერიკელები არასდროს აპატიებენ ებრაელებს და მათ თავიანთ ყველა უბედურებაში დაადანაშაულებენ. (გეა)

ორალური სექსი ცოდვა არ არის - ამბობს ქლინთონი



აშშ-ის პრეზიდენტ ბილ ქლინთონისა და 24 წლის მონიკა ლევისკის სექსუალური ურთიერთობების გარშემო ატეხილმა სკანდალმა სულ ახალ-ახალი და არაერთგვაროვანი დასკვნები დაბადა.

ავსტრალიურ გაზეთ „სიდნი მორნინგ გერალდის“ კორესპონდენტის აზრით, ქლინთონს შეუძლია თავი გამართლებულად ჩათვალოს, როცა ამბობს, რომ მონიკასთან სექსუალური კავშირი ჰქონდა. ქლინთონის აზრით, ორალური სექსი ცოდვა არ არის, ყოველ შემთხვევაში, ბიბლიური გაგებით, და როგორც გაზეთშია აღნიშნული, სწორედ ასე ერთობოდნენ იგი და მონიკა.

საგაზეთო სტატიის ავტორი თვლის, რომ ქლინთონს შეუძლია უარყოს ბრალდებები ცრუ ჩვენებების მიცემის შესახებ, როგორც ეს გააკეთა ჯენიფერ ფლაუერსის საქმესთან დაკავშირებით. თავიდან ქლინთონი უარყოფდა, რომ ფლაუერსთან 12 წლის განმავლობაში რომანი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მან თავისი ჩვენებები შეცვალა და აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობები 12 წლის განმავლობაში არ გაგრძელებულა. (გეა)

განსხვავება

იყიდება 5 ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ბუღაჩაურის ქუჩაზე მე-3 სათულზე ტელ. 37-11-62

იყიდება 6 ოთახიანი მაღალ დონეზე გარემონტებული ბინა ლოჯით დიდი დიდი დასახლებაში I მ-ნი 16 სართულიანი სახლის მე-12 სართულზე. კაპიტალური ავტოფარეხით, წყლის გამაცხელებელი სისტემით. ბინა შეიძლება გაიყოს 2 და 4 ოთახიანი იზოლირებულ ბინად. ტელ. 53-48-67

იყიდება ან იცვლება ორ ოთახიანი ბინაზე საბურთალოს ცენტრიდან არასტანდარტული, სარემონტო 5 ოთახიანი ბინა (სამი + ორი ოთახის მიშენებით) ბელეტაზე. საერთო ფართი 150 კვ.მ. 2 ნახევარი სარდაფით 44+25 კვ.მ საწყისი ფასი 30000 დოლარი. მისამართი: ოსებუბის 51ბ, ბინა 27 ტელ. 38-76-15; 38-58-28

იყიდება კერძო ორსართულიანი სახლი, ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, აქვს ვერანდა, საწყისი ფასი 14000\$ მის. 1 პიონერის ქუჩა №46 ნაძალადევის კომისარიატთან ახლოს. ტელ. 32-62-04 თამაში. იყიდება ასაწყობი ბუხარი ფასი 250\$ ტელ. 32-62-04

იყიდება ავეჯი „რეჟანსი“, კარგ მდგომარეობაში, სასადილო „ლოგა“ სამამულო წარმოების, ხელით ნათალი ჩუქურთმებით, სამეული, მაგიდა 12 სკამით, ღია ვიტრინა და დესკო. ტელ. 53-48-67

იყიდება იტალიური სამზარეულო 5 მ სიგრძის, მაკივრით, ჰაერგამწმენდით, ოთხქურონიანი გაზქურით. ჭურჭლის სარეცხი მანქანა „ბოში“, სირიული წარმოების ცხრამეტსანთიანი ჭადი. ტელ. 53-48-67


ვასწავლი გიტარაზე და ფორტეპიანოზე დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 52-88-06 იკითხეთ თინიკო

ვასწავლი ჭრა-კერვას მოდელირების გამარტივებული მეთოდებით. სწავლების ვადა ოთხი თვე. ტელ. 66-80-11 ან 98-34-65

უნივერსიტეტის დოცენტი ამზადებს ნებისმიერ მსურველს 14 წლის ზევით ინგლისურ ენაში ბინაში ან სამსახურში მისვლით, აუდიო კასეტების თანხლებით. ტელ. 68-95-87

მოფუჭილი ბავშვს ორი წლის ასაკიდან. ტელ. 96-00-97

ბელა მაგანიშვილი (გრაფიკა)



ბელია უშენობა, ძალიან ბელია, შენი მეგობრებისთვის, ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, - მაგრამ არც ერთი დღე ამ ორი წლის განმავლობაში უშენოდ არ ვყოფილვართ, ჩვენთან არის შენი ნათელი და საოცრად ნაღვლიანი ღიმილი, შენი სიტბო, ვაჟკაცობა და სიყვარული, რომელიც შეგებლო უბრალოდ უყვედრებლად ყველასათვის, თუნდაც ერთი წუთის გაცნობილისთვისაც გერეუბინა.

დრო მკურნალიაო, - ამბობენ. არ არის მართალი. ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ კაცური კაცის სახელით იცხოვრე ამქვეყნად და პირნათელი წახვედი.

გვენატრები უზომოდ, ვინ იცის, სად აქვს ამ მონატრებას საზღვარი ან აქვს კი საერთოდ.


ოჯახი და თანამშრომლები

XI კლასიკაზო, აზიბურიინტაზო, სტუდენტაზო!

ბამონვილა ნოდარ გრიგალაშვილის „სკოლაში შესასწავლი ქართული მწერლები“. წიგნი დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დამხმარე სახელმძღვანელოდ.

შეირფასო მკითხველო, ამ წიგნს რეკლამა არ სჭირდება. გადავიდეთ პირდაპირ საქმეზე. ვინც სწავლობს XI კლასში, აპირებს ჩაბაროს უმაღლესში და საერთოდ, ვისაც უყვარს ლიტერატურა, სასწრაფოდ მიაკითხეთ:

მაღაზია „საუნჯეს“
საფირმო მაღაზია „მერანს“ (რუსთაველის №42).
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში წიგნების ჯიხურს.
გაზეთ „საქართველო“ რედაქციის წინ მდებარე საგაზეთო ჯიხურს (პუშკინის ქ.№5).
ლიტერატურის მასწავლებლებს, რომელთაც სურვილი ექნებათ მოწაფეებისათვის წიგნის რამდენიმე ვებუბლარზე გააკეთონ შეკვეთა, ეთხოვთ, დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 93-18-41 ან 93-20-36



მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

ბელაშონაი:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის
მთავარი: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუპჩინის ძ. 5
ბაზაეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის
სასამართლოს მიერ. №06/4-444